

# ჰარუკი მურაკამი

დენს დენს დენს

თარგმნა ირაკლი ბერიაშვილმა



ბაკურ სულაკაურის  
გამომცემლობა

# 1.

მარტი, 1983 წ.

ხშირად მესიზმრება ოტელი „დელოფინი“.

ძილში მას ვეკუთვნი. გარემოებათა რალაც უცნაური დამთხვევით, მისი ნაწილი ვარ. და ჩემს დამოკიდებულებას მასზე იქ, ძილში, სრულიად მკაფიოდ შევიგრძნობ. თვითონ ოტელი „დელოფინი“ ჩემს სიზმარში დამახინჯებულ-განელილი მოხაზულობისაა. ძალიან ვიწრო და გრძელი. ისეთი ვიწრო და გრძელი, რომ თითქოს ოტელი კი არა, სახურავიანი ქვის ხიდია. ფანტასტიკური ხიდი, რომელიც საუკუნეების სიღრმიდან სამყაროს უკანასკნელ ნამამდეა განელილი. მე კი მისი მძლავრი კონსტრუქციის ელემენტი ვარ... იქ, შიგნით, ვილაც ჩუმაღ ტირის. ვიცი – ჩემ გამო.

ოტელს შიგნეულში ვყავარ დამწყვდეული. ვგრძნობ მის მაჯისცემას, მისი კედლების სითბოს. იქ, სიზმარში, მე მისი უზარმაზარი სხეულის ერთ-ერთი ორგანო ვარ.

აი, ასეთი სიზმარია.

თვალს ვახელ. ვხვდები, სად ვარ. ხმამალლაც კი ვკითხულობ. „სად ვარ?“ ყოველგვარ აზრს მოკლებული შეკითხვა. იკითხავ თუ არ იკითხავ, პასუხი ყოველთვის წინასწარ არის ცნობილი. მე ჩემს საკუთარ ცხოვრებაში ვარ. გარშემო ჩემი ერთადერთი რეალობაა. არა, ასეთი არ მდომებია, მაგრამ აი, ისინიც – ჩემი ყოველდღიურობა, ჩემი საზრუნავი, ჩემი გარემოება. ხანდახან ჩემ გვერდით ქალს სძინავს. მაგრამ ძირითადად მარტო ვარ. აღმუშლებული ჩქაროსნული მაგისტრალი ფანჯრის იქით, ჭიქა ბალიშთან (ნახევარი თითის დადება ვისკი ფსკერზე) და ვითარებას იდეალურად მისადაგებული – ან იქნებ უბრალოდ ყველაფრის მიმართ გულგრილი – მტვრიანი დილის სინათლე. ფანჯრის მიღმა წვიმს. როცა დილიდანვე წვიმს, მაშინვე არ ვდგები ლოგინიდან. თუ ჭიქაში

გუშინდელი ვისკია დარჩენილი – ვსვამ. ვუყურებ ფანჯრის იქით კარნიზიდან მოწყვეტილ წვეთებს და ოტელ „დელფინზე“ ვფიქრობ. ხელს ვინვდი და სახეზე ვიკიდებ. ვრწმუნდები: ეს მე ვარ, მხოლოდ მე და სხვა არავინ, არავითარ ოტელს არ ვეკუთვნი. **არაფერს არ ვეკუთვნი.** მაგრამ სიზმრის ნაკვალევი რჩება. იქ, სიზმარში, აი ასე რომ მეცადა ხელის განვდენა, ვეებერთელა შენობა ტორტმანს და ძაგძაგს დაინწყებდა. ბებერი ნისქვილივით, რომელსაც ხელახლა მიუგდეს წყალი. აჭრიალდებოდა, დატრიალდებოდა ლილვი ლილვზე, კბილანა კბილანაზე – და მთელი კორპუსით, უკანასკნელი ლურსმნის ჩათვლით, აჰყვებოდა ჩემს მოძრაობას. თუ ყურს მიუგდებ, იმასაც გაარკვევ, რომელ მხარეს მიიძურნება ეს ჭრიალი... ყურს ვუგდებ. და ვილაცის შეკავებული ქვითინი მესმის. ძლივს ისმის უკუნი სიბნელიდან. ვილაც ტირის. ჩუმად, უნუგეშოდ. ტირის და მიხმობს.

ოტელი „დელფინი“ ნამდვილად არსებობს. საპოროში, ორი უბადრუკი ქუჩის კუთხეშია მიყუჟული. რამდენიმე წლის წინ მთელი კვირა ვიცხოვრე იქ. არა – შევეცდები, უფრო ზუსტად გავიხსენო. წვრილმანებიანად... როდის იყო? ოთხი წლის წინათ. კიდევ უფრო ზუსტად – ოთხ-ნახევარი წლის. მაშინ ოცდაათისაც არ ვიყავი. მეგობარ ქალთან ერთად მოვეწყვე იქ. ისე, ყველაფერი თვითონ გადანწყვიტა. აი, აქ გავჩერდეთო. სწორედ ამ ოტელში უნდა გავჩერდეთ და არა სხვა რომელიმეშიო. ის რომ არა, აზრდაც არ მომივიდოდა ასეთ უცნაურ ადგილზე შეჩერება.

ეს იყო გაქუცული, ღვთისა და კაცისგან მივიწყებული პატარა ოტელი: ჩვენი იქ ყოფნის ერთი კვირის განმავლობაში ფოიეში სულ ორ თუ სამ ადამიანს გადავეყარეთ. ძნელი სათქმელი იყო, იქ ცხოვრობდნენ თუ ხუთი წუთით შემოირბინეს საქმეზე. პორტიეს უკან, დაფაზე, აქა-იქ აკლდა გასაღებები, რაც იმას ნიშნავდა, რომ ოტელ „დელფინს“ ჰყავდა ბინადრები. ცოტა. თითზე ჩამოსათვლელი. და რადგან ოტელის ტელეფონი დიდი ქალაქის ცნობარში ვიპოვეთ, ეჭვის შეტანა იმაში, რომ აქ საერთოდ ვინმე ჩერდება, უბრალოდ, უცნაური იქნებოდა. მაგრამ თუ ჩვენ ორს გარდა, მაინც ცხოვრობდნენ ვილაც-ვილაცები, სავარაუდოდ, ეს არსებები საშინლად გაუბედავი და ყველასგან დავინწყებული იყვნენ. ნახვით მათ

ვერ ვნახულობდით, სმენით არ გვესმოდა და მათ არსებობას ვერ ვგრძნობდით. მხოლოდ გასაღებების განლაგება იცვლებოდა პორტიეს დაფაზე. როგორც ჩანს, დერეფანშიც სუნთქვაშეკრულები, ფერმკრთალი ჩრდილებივით კედელ-კედელ დადიოდნენ. დროდადრო ძველი ლიფტის გრუხუნის არღვევდა სიჩუმეს; მაგრამ ლიფტი გაჩერდებოდა და სიჩუმე წინანდელზე უფრო მძაფრად იგრძნობოდა...

სრულიად მისტიკური დანესებულება.

იმის შემხედვარეს, ყოველთვის მეჩვენებოდა, თითქოს ჩემ წინ სამყაროს ევოლუციის შეცდომა იყო; ჩიხში მოქცეული გენეტიკური ტრანსფორმაციის მსხვერპლი; მახინჯი რეპტილია, რომლის ბიოლოგიური სახეობა დიდხანს განიცდიდა მუტაციას არასწორი მიმართულებით – მეტისმეტად დიდხანს იმისთვის, რომ ახლა პირიქით შეცვლილიყო. შედეგად კი ამ შტოს ყველა პერსონამ შეწყვიტა არსებობა, მხოლოდ ერთი გადარჩა და ახლა აყუდებულია აქ ობლად და მიუსაფრად ახალი სამყაროს კუმტ ბინდში. სასტიკ სამყაროში, სადაც დრომაც კი ხელი აიღო მასზე. ვერც ვერავის დაადანაშაულებ – არ არიან დამნაშავენი, და არც ხელის შემშველებელი ჩანს. იმიტომ, რომ იმთავითვე არ უნდა მოენყოთ აქ ოტელი. აი, ამ მთავარი შეცდომიდან დაიწყო და გაგრძელდა სულ უფრო მრუდედ და მრუდედ. სხვა ლილზე შეკრული პერანგივით. ამ სიმრუდის გასწორების ნებისმიერი მცდელობა ასეთსავე გადახრას, თითქმის ელევანტურ უწესრიგობას იწვევს სადმე სხვაგან. და ასე, ცოტა, ცოტა და ბოლოს მთელი პერანგი იღრიცება. საიდანაც არ უნდა შეხედო... არის ქვეყნად ასეთი განსაკუთრებული დაღრეცილობა. თუ დიდხანს არ მოაცილებ თვალს, თავი უნებურად გვერდზე გადახრას ეჩვევა. თითქოს დიდი არაფერი – უმნიშვნელო დაფერდება, სულ რამდენიმე გრადუსი. თავის მსუბუქი, ბუნებრივი დახრა. შეეჩვევი და საკმაოდ მყუდროდ შეგიძლია იცხოვრო ამქვეყნად. თუ, რა თქმა უნდა, ყურადღებას არ მიაქცევ, რომ მთელ დანარჩენ სამყაროსაც ასე დაფერდებულად აღიქვამ.

სწორედ ასეთი იყო ოტელი „დელფინი“. მისი უბადრუკობა, ისევე როგორც წლების განმავლობაში მასში დაგროვებული აბდაუბდის გამო ნებისმიერ წამს მინაში ჩანთქმის განწირული და მორჩილი მზადყოფნა, მაშინვე თვალში ხვდებოდა ყველას. ნალვლიანი, რო-

გორც კოჭლი ძალი იანვრის წვიმაში. რა თქმა უნდა, ქვეყნად არც ისე ცოტაა ამაზე ნალვლიანი ოტელი. მაგრამ თუნდაც მათ გვერდით წამომართულ ოტელ „დელფინს“ მაინც სულ სხვა იერი ექნებოდა. ნალველი შენობის პროექტშივე იყო გათვალისწინებული. და ამის გამო სევდაც ორმაგდებოდა.

ღირს კი იმის თქმა, რომ შეცდომით ან გაუგებრობის გამო აქ მოხვედრილი ბრიყვების გარდა, ძნელად მოიძებნებოდა ადამიანი, რომელიც თავისი ნებით დაბინავდებოდა ოტელ „დელფინში“?

სინამდვილეში ოტელს ოდნავ განსხვავებული სახელი ერქვა. Dolphin Hotel – აი, ეს იყო მისი ოფიციალური სახელი. მაგრამ ასეთი სახელწოდებით ჩემს თავში დაბადებული ხატება იმდენად განსხვავდებოდა იმისგან, რითაც ვკმაყოფილდებოდი რეალობაში (სიტყვებზე Dolphin Hotel თოვლივით თეთრი, მდიდრული ოტელი წარმომიდგებოდა თვალწინ სადღაც ეგეოსის ზღვის სანაპიროზე), რომ ჩემთვის უბრალოდ „ოტელ დელფინს“ ვეძახდი. თითქოსდა შესასვლელთან დაკიდებული DOLPHIN HOTEL-ის ჯიბრზე. ფირნიშის გარეშე იმის მიხვედრა, რომ თქვენ წინ ოტელია, შეუძლებელი იქნებოდა. თუმცა ფირნიშის მიუხედავადაც, შენობას არაფერი ეცხო ოტელის. უფრო მუზეუმს ჰგავდა. რალაც განსაკუთრებული ცოდნის საცავს, სადაც ჩუმად, ლამის თითის წვერებზე შედის განსაკუთრებული ხალხი და სპეციფიკური ცნობისმოყვარეობით ათვალეიერებს ექსპონატებს, რომელთა ფასი მხოლოდ სპეციალისტებმა იციან...

არ ვიცი, ასე ეჩვენებოდა თუ არა კიდევ ვინმეს ჩემ გარდა. მაგრამ, როგორც მოგვიანებით გავარკვიე, ასეთი შთაბეჭდილება ჩემი ფანტაზიის ნაყოფი არ აღმოჩნდა. შენობის ერთ-ერთ სართულზე წამდვილად არქივი იყო განლაგებული.

ვის შეიძლება მოუნდეს ასეთ ადგილას დაბინავება? გაურკვეველი დანიშნულების ნახევრად დაფერფლილ-დაძენძილი ნაგვის მუზეუმში? მეძველმანის ფარდულში, სადაც დერეფნები სავსეა ცხვრის ფიტულებით, ჰაერში ბლუჯა-ბლუჯა ფრიალებს ცხვრის მატყლი, კედლები კი გახუნებული ფოტოებით არის მორთული? პირქუშ საძვალეში, სადაც ადამიანთა აზრებიც კი, რომლებმაც გამოყენება ვერ პოვეს, ყველა კუთხეში გამხმარ ტალახად დაგროვდა?

მთელი ავეჯი ოტელში გაცრეცილიყო, მაგიდები ირყეოდა და არცერთი კარი არ იკეტებოდა. ლამპები ძლივს ბუუტავდა – დერეფანში სქელი ბინდი ეკიდა. მოშლილი ონკანებიდან გამუდმებით წვეთავდა წყალი. ოტელის ჩასუქებული, სპილოსფეხება დიასახლისი უაზროდ დაბორილებდა დერეფნებში და ქლექიანის ხველით ახსენებდა ქვეყანას თავის არსებობას. ოტელის მმართველი, საბრალოთვალეებიანი შუახნის მამაკაცი დილიდან საღამომდე ფოიეს დახლს იქით იჯდა. ორი თითი აკლდა. სახეზე ამკარად ეწერა: რა საქმისთვისაც არ უნდა მოეკიდებინა ხელი, არასდროს არაფერი არ გამოუვიდოდა. უიღბლოთა ტომის კლასიკური წარმომადგენელი იყო. თითქოს მელნიან კასრში ჰყავდათ ერთი-ორი დღე, დასამწნილებლად. მერე გამოუშვეს და, რამდენსაც არ ეცადა საცოდავი ჩამოზანას, შეცდომების, ჩავარდნებისა და ქრონიკული უიღბლობის ავი კარმა ისე გასჯდომოდა კანში უღიმღამო ცისფრად, რომ სამუდამოდ მასთან დარჩა. ნამდვილად ღირდა მისი კოლბაში ჩასმა და ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე მოსწავლეებისთვის ჩვენება წარწერით: „ყოვლად უიმედო ადამიანი“. თუნდაც მხოლოდ გარეგნობით მომსვლელებში სიბრალულს იწვევდა – ზოგიერთებს კი, დარწმუნებული ვარ, აღიზიანებდა კიდევ (არიან ადამიანები, რომლებიც ბრზადებიან მაშინ, როცა, წესით და რიგით, უნდა შეიბრალონ)...

აბა, ვის მოუვა თავში აქ დაბინავება?

მაგრამ ჩვენ დავბინავდით. „უბრალოდ, ვალდებული ვართ, რომ აქ დავრჩეთ!“ – დამიყოლია მეგობარმა ქალმა. და სულ მალე გაქრა. თითქოს მინამ უყო პირი. მარტო დამტოვა. ეს ადამიანმა-ცხვარმა შემატყობინა. „გოგო წავიდა, – თქვა მან, – გოგო უნდა წასულიყო“... ახლა ვიცი, რას ნიშნავდა ეს ყველაფერი. მისი მთავარი ამოცანა იყო, ისე მოეწყო საქმე, რომ ჩემი ნებით მოვსულიყავი აქ. და ბრწყინვალედ შეასრულა თავისი როლი. ბედისწერის მიერ ნაკარნახევი როლი. ისევე როგორც მოლდავეთის მდინარეები – საითაც არ უნდა გაუხვიო, მაინც ზღვაში ამოჰყოფ თავს... ვწევარ ფანჯრის იქით, წვიმას ვუყურებ და ამაზე ვფიქრობ. ბედისწერაზე ვფიქრობ.

მას შემდეგ, რაც ეს უცნაური სიზმრები დამეწყო, დილაობით მუდამ დაკარგულ მეგობარ ქალზე ფიქრი მიტრიალებს თავში. ყოველ

მომდევნო დილით სულ უფრო აშკარად მეჩვენება, თითქოს ისევ ვჭირდები, თითქოს ისევ მიხმობს. ასე რომ არ იყოს, რატომ დამესიზმრებოდა ოტელი „დელფინი“?

„მეგობარი ქალი“... მე ხომ სახელიც კი არ ვიცი მისი. ვიცხოვრეთ ერთად რამდენიმე თვე, ცოდნით კი არაფერი ვიცი მის შესახებ. მხოლოდ ის ვიცი, რომ მუშაობდა ძვირიან ღამის კლუბში – „გოგონა გამოძახებით“. ელიტურ კლუბში, სანევრო სისტემით და რესპექტაბელური კლიენტურით. უმაღლესი კატეგორიის მეძავად. გარდა ამისა, კიდევ რამდენიმე ადგილას შოულობდა ფულს. დღისით ტექსტებს ასწორებდა პატარა გამომცემლობაში, დროდადრო კი ფოტომოდელად აქირავებდა საკუთარ თავს ქალის ყურების რეკლამირებისთვის. ერთი სიტყვით, სავსე ცხოვრებით ცხოვრობდა. და, რა თქმა უნდა, უსახელოც ვერ იქნებოდა. ალბათ უფრო რამდენიმე სახელი ჰქონდა. და ამ დროს არცერთი. მის ნივთებზე – გასაგებია, რომ ცდილობდა, ძალიან ცოტა ეტარებინა თან – პატრონის სახელი არ იყო აღნიშნული. არც სამგზავრო ბილეთი, არც მძღოლის მონმობა, არც საკრედიტო ბარათები არასდროს არ მინახავს. ყოველთვის თან ჰქონდა მხოლოდ მინიატიურული უბის ნიგნაკი, რომელშიც ნაზი თითებით რალაც გაუგებარი ციფრები შეჰქონდა – მხოლოდ მისთვის გასაგები შიფრ-კოდები. ჩემთან ცხოვრების განმავლობაში ხელჩასაჭიდი არაფერი იყო... არ ვიცი: შეიძლება ბოზებსაც აქვთ სახელები. ოღონდ ეს არის, იმ განზომილებაში ცხოვრობენ, სადაც სახელები არ არსებობს.

მოკლედ, ასეა თუ ისე, თითქმის არაფერი ვიცი მის შესახებ. საიდან ჩამოვიდა, სად დაიბადა, სინამდვილეში რამდენი წლისაა – სულ მცირე წარმოდგენაც კი არ მაქვს. გაზაფხულის ნუთიერ წვიმასავით გამოჩნდა და ასევე მოულოდნელად გაქრა. მხოლოდ მოგონებები დატოვა...

მაგრამ ამ ბოლო ხანს ეს მოგონებები მეტისმეტად რეალისტური ხდება. უცნაური რალაცები მეჩვენება. თითქოს სიზმარში სწორედ ის, მეგობარი ქალი მიხმობს ოტელ „დელფინიდან“. თითქოს ისევ ვჭირდები. მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში შევხვდებით ერთმანეთს, თუ იქ მივალ. იქ, ოტელ „დელფინში“, ის ტირის და მელოდება.

წვეთებს შევყურებ. საკუთარ თავს ვუსმენ. რაღაცას ვეკუთვნი... ვილაც ტირის და მელოდება... ერთსაც და მეორესაც სადღაც შორიდან აღვიქვამ. თითქოს სადღაც მთვარეზე ხდება. რაც არ უნდა იყოს, სიზმარი სიზმარია, როგორც არ უნდა სდიო, ვერ დაენევი, ვერ მისწვდები.

ანდა, ჩემი გულისთვის რატომ უნდა იკლავდეს ვილაც თავს?

და მაინც. მაინც მელოდება. იქ, ოტელის ერთ-ერთ ოთახში. ძალიან მინდა, რომ ასე იყოს. მეც მინდა, ვეკუთვნიოდე მას – უცნაურ სახლს, სადაც თავდაყირა დგება ადამიანების ბედი...

თუმცა ოტელ „დელფინში“ დაბრუნება არც ისე იოლია. ტელეფონით ნომრის შეკვეთა, ბილეთის ყიდვა, საპორტოში ჩაფრენა – სულ ეს რომ იყოს! ოტელ „დელფინში“ გამგზავრების პრობლემა თვითონ ოტელი „დელფინია“. იქ დაბრუნება წარსულის ჩრდილებთან შეხვედრას ნიშნავს. მარტო ამის გაფიქრებაზეც კი მელანქოლია მიპყრობს. ოთხი წელიწადი, როგორც შემეძლო, ვიგერიებდი ამ ცივ, პირქუშ ჩრდილებს. მაგრამ საკმარისია დავბრუნდე ოტელში, რომ წყალში ჩაიყრება მთელი ის ცხოვრება, რომელიც თავიდან, ნულიდან შევქმენი ამ ოთხ წელიწადში.

სხვა საქმეა, რომ არც ისე ბევრი შევქმენი... საიდანაც არ უნდა შეხედო, ყველაფერი უაზრო ნაგავია, ნაყარნუყარი ერთ ადგილზე მყუდროდ, უაზროდ დგომისთვის...

და მაინც, ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო. შევაგროვე ეს ნაყარნუყარი, მოხერხებულად მოვარგე რეალობას და საკუთარ თავს, ჩემი კუდმოკვეცილი ფასეულობებიდან ახალი ყოფა გამოვძერწე... და ახლა რა ვქნა – ძველ ცხოვრებას მივაშურო, ცარიელტარიელს? ფანჯარა გამოვალო და ჯანდაბის გზას გავუყენო ყველაფერი?

თუმცა საბოლოოდ ასე თუ დაიწყება რამე ახალი. ეს კარგად ვიცი. მხოლოდ ასე და არა სხვაგვარად...

ისევ ჭერს მივაშტერდი და ღრმად ამოვიოხრე. მიაფურთხე, ვუთხარი თავს. მოეშვი. არსად არ მიგიყვანს ეს ფიქრები. ის, რაც შენს თავს ხდება, შენზე ძლიერია. იფიქრებ, არ იფიქრებ – არადა, ყველაფერი სწორედ ამით იწყება... ასეთი წესია. გინდ შუაზე გასკდი.



\* \* \*

ალბათ უკვე დროა, წარმოვიდგეთ.

„რამდენიმე სიტყვა ჩემ შესახებ“...

მახსოვს, სკოლაში ხშირად მიწევდა ამის კეთება. ყოველთვის, როცა ახალი სასწავლო წელი იწყებოდა, ყველანი ხაზზე ვენწყობოდი, რიგრიგობით გამოვდიოდით წინ და, როგორც შეგვეძლო, ვყვებოდი საკუთარი თავის შესახებ. მე ვერასდროს ვერ ვახერხებდი ამას ისე, როგორც საჭირო იყო. მაგრამ მარტო მოხერხებაში არ არის საქმე. თვითონ ეს ამბავი სრულ აბდაუბდად მეჩვენებოდა. რა უნდა მცოდნოდა საკუთარი თავის შესახებ? ალბათ მხოლოდ ის, თუ როგორ წარმომედგინა ჩემი ნამდვილი მე. თუ მაგნიტოფონის ფირზე ჩანერილი საკუთარი ხმა უცნაური, უცხო გამოდის, რა შეიძლება ითქვას სურათებზე, რომელსაც ჩემი წარმოსახვა იხატავდა ჩემგან, გადააკეთ-გადმოაკეთებდა, დაამახინჯებდა, როგორც მოესურვებოდა?.. მსგავსი ფიქრები მთელი ცხოვრება მიფუთფუთებდა თავში და ყოველთვის, როცა ვინმეს ვეცნობოდი და იძულებული ვხდებოდი, „ორიოდე სიტყვა მეთქვა საკუთარ თავზე“, მაჩანჩალა ოროსნად ვგრძნობდი თავს, რომელიც საკლასო ჟურნალში მალულად ნიშნებს ასწორებს. ამიტომ ყოველთვის ვცდილობდი, არ მომეყოლა ჩემ შესახებ არაფერი, გარდა შიშველი ფაქტებისა, რომლებსაც არც კომენტარები სჭირდება და არც ახსნა („მყავს ძალი“, „მიყვარს ცურვა“, „ვერ ვიტან ყველს“ და ასე შემდეგ.), მაგრამ მაინც მეჩვენებოდა, თითქოს მოგონილ ამბებს ვყვებოდი არარსებულ ადამიანზე. და როცა ასეთ მდგომარეობაში მყოფი ვუსმენდი სხვების მონაყოლს, მეჩვენებოდა, რომ ისინიც თავის თავზე კი არა, ვილაც მესამეზე ლაპარაკობდნენ; მეჩვენებოდა, რომ ყველანი გამოგონილ სამყაროში ვცხოვრობთ და გამოგონილი ჰაერით ვსუნთქავთ...

და მაინც – ალბათ მომიწევს რაღაცის მოყოლა... მხოლოდ ასე თუ დაიწყება ყველაფერი – საკუთარ თავზე ლაქლაქით. ამ პირველი ნაბიჯით. გამოვა რამე თუ არა – მერე განვსაჯოთ. მე ვიმსჯელებ თუ სხვები იმსჯელებენ, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ახლა საკუთარ თავზე უნდა ვილაქლაქო. თან უნდა მახსოვდეს კიდეც, რაზე ვლაქლაქებ...

ახლა მიყვარს ყველი. არ მახსოვს, როდის შემიყვარდა. ჩემი ძალი ნვიმაში გაცივდა და ფილტვების ანთებით მოკვდა, როცა სკოლის დამამთავრებელ კლასში ვიყავი. მას შემდეგ ძალი აღარ მყოლია. ცურვა კი დღესაც მიყვარს. გმადლობთ ყურადღებისთვის...

მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ რეალურ ცხოვრებაში ასე ადვილად ვერ დაიძვრენ თავს. როცა რალაცას ითხოვ ცხოვრებისგან (მაგრამ რომელი ჩვენგანი არ ითხოვს?), ცხოვრება ავტომატურად ითხოვს პასუხად უამრავ დამატებით ინფორმაციას. ანგარიში გასასწორებლად მეტი მონაცემის შეყვანაა საჭირო. სხვაგვარად პასუხი არ იქნება.

**მონაცემები არასაკმარისია. პასუხის გაცემა შეუძლებელია. დააჭირეთ ჩამოყრის კლავიმს.**

ვაჭერ. ეკრანი ცარიელდება. აუდიტორიაში მყოფი ხალხი ყველაფერს მესვრის, რაც ხელში მოხვდება. „ილაქლაქე! მეტი ილაქლაქე საკუთარ თავზე!“ მასწავლებელი წარბებს ჭმუხნის. ლაპარაკის უნარს ვკარგავ და საკლასო ოთახის დაფასთან ვქვავდები.

ლაქლაქია საჭირო. და რაც შეიძლება დიდხანს. რამე გამოვა თუ არა – მერე გავარჩიოთ.

\* \* \*

დროდადრო მოდის და ლამით რჩება. დილით ჩემთან ერთად საუზმობს, სამსახურში მიდის და აღარ ბრუნდება. ამ ქალს სახელი არა აქვს. მაინც ამ ამბის მთავარი პერსონაჟი არ არის. ძალიან მალე სულ გაქრება ამ თხრობიდან და თავგზა რომ არ ავურიო საკუთარ თავსაც და სხვებსაც, არც არაფერს დავარქმევ. მაგრამ არ მინდა იფიქრონ, თითქოს არაფრად ვაგდებ. ყოველთვის მომწონდა. ახლაც კი, როცა ჩემი ცხოვრებიდან სამუდამოდ გაქრა, არანაკლებ მომწონს.

რალაც თვალსაზრისით მეგობრები ვართ. ყოველ შემთხვევაში, ყველანაირი საფუძველი აქვს, თავის ერთადერთ მეგობრად ჩამთვალოს. ჩემთან იშვიათ ვიზიტებს თუ არ ჩავთვლით, მუდმივ საყვარელთან ცხოვრობს. მუშაობს სატელეფონო კომპანიაში –

კომპიუტერში სატელეფონო საუბრების ანგარიშებს ადგენს. სამსახურზე უფრო დანვრილებით არ მიკითხავს. არც იმას მოუყოლია. მაგრამ, ვფიქრობ, რალაც ამისმაგვარია: ითვლის, ვინ რამდენი ილაპარაკა, ქვითრებს წერს და აბონენტებს უგზავნის. ასე რომ, ჩემს სატელეფონო ანგარიშს საფოსტო ყუთიდან ისე ვიღებ, თითქოს ინტიმური წერილი მივიღე.

თავისი ძირითადი ცხოვრებიდან სრულიად განცალკევებით ჩემთან წევს. ორჯერ, შესაძლოა სამჯერ თვეში. მე „მთვარიდან ჩამოფრენილ ადამიანად“ ან დაახლოებით ასეთად მივაჩნევარ. „ჰეი, მთვარეზე დაბრუნებას არ აპირებ?“ – ხითხითებს ჩუმიად. სრულიად შიშველი მთელი სხეულით მეკვრება. პატარა ძუძუების კერტებით მეხება ნეკნებზე. ასე ვლაქლაქებთ ყოველთვის, როცა ღამით ერთად ვართ. ფანჯრის მიღმა – მაგისტრალის გაუთავებელი გუგუნი. რადიოში – მონოტონური შლაგერი The Human League. ესეც თუ სახელწოდებაა! რა ეშმაკად უნდა მუსიკალურ ჯგუფს ასეთი სახელი? ადრე უფრო ნორმალურ სახელებს არქმევდნენ: „იმპირიელზ“, „სიუპრიმზ“, „ფლამინგოუზ“, „ფელკონზ“, „იმპრეზნზ“, „დორზ“, „ფორ სიზონზ“, „ბიჩ ბოიზ“...

ვეუბნები, რასაც ვფიქრობ. იცინის. უცნაური ხარო, ამბობს. არ ვიცი, რა არის ჩემში უცნაური. თავი სრულიად ნორმალური ადამიანი მგონია, ჩვეულებრივი ფიქრებით თავში... THE HUMAN LEAGUE!

– ძალიან მიყვარს, როცა ერთად ვართ, – ამბობს, – ხანდახან ისე მომინდება ხოლმე შენთან! მაგალითად, სამსახურში...

– ჰმ...

– ხანდახან, – ხაზს უსვამს. მერე ნახევარი წუთი ჩუმიად არის. მთავრდება The Human League და რალაც უცნობი იწყება, – აი, რა არის პრობლემა... შენი პრობლემა, – განაგრძობს, – მე, მაგალითად, საშინლად მომწონს, როცა აი, ასე ვართ... მაგრამ ყოველდღე, დილიდან საღამომდე, რატომღაც არ მინდა... ნეტავ რატომ?

– ჰმ, – ვიმეორებ.

– იმის თქმა მინდა, რომ არანაირად არ მავინროებ, ყველაფერი რიგზეა. უბრალოდ... როცა შენთან ვარ, ირგვლივ ჰაერი რალაცნაირად ფაქიზი ხდება... იშვიათდება, არა? როგორც მთვარეზე.

– რას იზამ, ასეთია ჩემი სამშობლოს სურნელი.

– ჰეი, სულაც არ ვხუმრობ! – ლოგინზე წამოინევა და სახეზე მაშტერდება, – სხვათა შორის, ამას შენთვის ვამბობ... ბევრი გყავს ცხოვრებაში ადამიანი, რომელიც შენთან შენზე ილაპარაკებს?

– არა, – ვეუბნები გულწრფელად. მის გარდა არავინ.

ისევ წვება და მკერდით მეკვრება. ზურგზე ხელისგულით ვეფერები.

– მოკლედ, ასეა საქმე. შენთან ძალიან ფაქიზი ჰაერია. როგორც მთვარეზე, – იმეორებს.

– მთვარეზე სულაც არ არის ფაქიზი ჰაერი. მთვარეზე საერთოდ არ არის ჰაერი. ასე რომ...

– ძალიან ფაქიზი! – ჩურჩულებს. შეიძლება არ ესმის, რას ვამბობ, შეიძლება საერთოდაც არ უნდა გაიგონოს. არ ვიცი. მაგრამ მისი ჩურჩული მაფორიაქებს. ეშმაკმა უწყის, რატომ. არის ამაში რაღაც საგანგაშო, – დროდადრო კი ისეთი გალეულია... და მაშინ შენ იმ ჰაერით არ სუნთქავ, რომლითაც მე, არამედ რაღაც სხვანაირით... ასე მეჩვენება.

– მონაცემები არასაკმარისია, – ვუტბუტებ ჩემთვის.

– იმას გულისხმობ, რომ არაფერი ვიცი შენ შესახებ? ამას გულისხმობ, ხომ? – მეკითხება.

– თვითონაც არაფერი ვიცი ჩემ შესახებ! – ვამბობ, – ჰო, მართალს გეუბნები! ფილოსოფიური თვალსაზრისით არა, პირდაპირი მნიშვნელობით... მონაცემთა საერთო უკმარისობა, ხვდები? ყველა პარამეტრით...

– მაგრამ შენ უკვე ოცდაცამეტის ხარ, არა?

– ოცდათოთხმეტის, – ვუსწორებ, – ოცდათოთხმეტის და ორი თვის.

თავს აქნევს. მერე ლოგინიდან დგება, ფანჯარასთან მირბის და ფარდებს სწევს. ფანჯრის იქით ჩქაროსნული მაგისტრალის ბეტონის საყრდენები აჩოჩხილა. ოდნავ გაფერმკრთალებული ციდან მთვარის თეთრი ნამგალი დაგვეყურებს.

ჩემი პიჟამა აცვია.

– შენ, ეი! დაბრუნდი შენს მთვარეზე! – ამბობს და თითს ცისკენ იშვერს.

– გაგიჟდი? ცივა! – ვამბობ.